ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7513337

ნომერი: AR11091846

თარიღი : 29.05.2025

გაცემის თარიღი : 12.06.2025

გაცნობის თარიღი : 12.06.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა, N 17; ქალაქი თბილისი, ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა, N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი მარგალიტაშვილი პ/ნ 01019019043
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 18 კორ. 3 ბ. 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 29/05/2025 აპრილის AR11091846 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.11.04.027.060 ; 01.11.04.027.062 მიწის ნაკვეთზე: სასაწყობო და საოფისე ფუნქციით მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ზოგადი საცხოვრებელი ზონა; მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით განიხილება საცხოვრებელი ზონა 2-ის პარამეტრებით.
სზ-2 – განაშენიანების დომინირებული სახეობაა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები: ვინაიდან საცხოვრებელ ზონა 2-ში არ არის დასაშვები საოფისე და სასაწყობე ფუნქციით ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 29/05/2025 აპრილის AR11091846 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ რეგისტრირებულ ს/კ 01.11.04.027.060 ; 01.11.04.027.062 მიწის ნაკვეთზე სასაწყობო და საოფისე ფუნქციით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.